

1. განმარტებები და ინტერპრეტაცია

მოცემული ვადები და პირობები („პირობები“) წარმოადგენს მომწოდებელსა („მომწოდებელი“) და „გადავარჩინოთ ბავშვები საქართველოს“ („დამკვეთი“) შორის გაფორმებული კონტრაქტის საფუძველს, სათანადო ფორმით გაცემულ შესყიდვის ორდერთან („ორდერი“) მიმართებაში („ორდერი“ და „პირობები“ ერთად იწოდება როგორც „კონტრაქტი“). ამ პირობების ფარგლებში აღნიშნული ტერმინები - „საქონელი“, „მომსახურება“, „ფასები“ და „მიწოდება“ - ეხება შესყიდვის ორდერის შესაბამის დებულებებს.

2 ხარისხი და ნაკლოვანებები

2.1 საქონელი და მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში უნდა:

ა) შეესატყვისებოდეს შესყიდვის ორდერში მის აღწერილობას და შესაბამის სპეციფიკაციას;

ბ) იყოს შესაბამისობაში ყველა მოქმედ ნორმატიულ აქტისა და მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებთან;

გ) იყოს უმაღლესი ხარისხის და გამოსადეგი ნებისმიერი მიზნით, რაც არის მომწოდებლის მიერ შემოთავაზებული ან დამკვეთის მიერ მიწოდებული ინფორმაციით მომწოდებლისთვის ცნობილი;

დ) მისი დიზაინი/მოდელი, მასალა, დამზადების ხარისხი და მონტაჟი უნდა იყოს უნაკლო;

ე) იყოს შესრულებული ყურადღებით, გულმოდგინედ და საუკეთესო უნარ-ჩვევების გამოყენებით, რაც შესაბამისობაში იქნება მომწოდებლის მრეწველობის დარგთან, პროფესიასთან ან ხელობასთან დაკავშირებულ საუკეთესო პრაქტიკასთან.

2.2 დამკვეთი (მათ შორის მისი წარმომადგენლები ან უფლებამოსილი პირები) უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეამოწმოს მომწოდებლის დოკუმენტები, საქონლის და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით განხორციელებული სამუშაო და და გამოსცადოს და შეამოწმოს საქონელი.

3-შესაბამისობა და ეთიკური სტანდარტები

3.1 მომწოდებელი დაიცავს დამკვეთის ნულოვანი ტოლერანტობის მიდგომას სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობის, სექსუალური შევიწროების დაშინებისა და ბულინგის მიმართ. მომწოდებელი და მისი ქვეკონტრაქტორები არანაირი ფორმით არ ჩაერთვებიან ფაქტიურ, მცდელობის ან საფრთხის შემცველ შემთხვევებში, როგორცაა:

ა. ბავშვის ან ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია ან ძალადობა, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ ფიზიკური და ემოციური ძალადობა, ექსპლუატაცია ან არასათანადო მოპყრობის რაიმე სხვა ფორმა;

ბ. ზრდასრული პირების სექსუალური ექსპლუატაცია ან ძალადობა მოწყვლად საზოგადოებაში, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ დამკვეთის ზრდასრულ ბენეფიციარებზე, არამედ დამკვეთის პერსონალზე და წარმომადგენლებზე.

გ. დამკვეთის ზრდასრულ ბენეფიციარების, წარმომადგენლების ან კონტრაქტის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირის სექსუალური შევიწროება, შევიწროვება, დაშინება ან ბულინგი.

3.2 მომწოდებელმა, მისმა მომწოდებელმა და ქვეკონტრაქტორებმა, უნდა: ა) დაიცვან უმაღლესი ეთიკური სტანდარტები და შეასრულონ ყველა მოქმედი კანონი, დებულება, დებულება (მათ შორის, გარემოს დაცვის წესები და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საერთაშორისო შრომითი სტანდარტები ბავშვთა და იძულებით შრომის წესების შესახებ), რომელიც დროდადრო ამოქმედდება; (ბ) დაიცვან კონტრაქტზე თანდართული, დამკვეთის პოლიტიკის დოკუმენტები : ბავშვთა უსაფრთხოება; სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან დაცვა (PSEA), შევიწროების საწინააღმდეგო, დაშინებისა და ბულინგის წესები; თაღლითობის,

მექრთამეობისა და კორუფციის წესები; ადამიანის ტრეფიკინგისა და თანამედროვე მონობის პოლიტიკა; (გ) კონტრაქტის შესრულებისას იმოქმედონ შესყიდვების უწყებათაშორისი ჯგუფის ქცევის კოდექსის პრინციპების შესაბამისად.

3.3 მომწოდებელი, მისი მიმწოდებლები და ქვეკონტრაქტორები, არანაირი ფორმით ა) არ შედიან გარიგებებში, არ აწვდიან რესურსებს და არ ეხმარებიან სანქციების ქვეშ მყოფ შეიარაღებულ ჯგუფებს, ინდივიდებს ან უწყებებს, ან ტერორიზმთან დაკავშირებულ ან ტერორიზმთან რაიმე სხვა პირდაპირი ან ირიბი კავშირის მქონე ინდივიდებსა და ორგანიზაციებს; ბ) არ მონაწილეობენ იარაღის წარმოებაში ან ვაჭრობაში; (გ) არ ამყარებენ რაიმე საქმიან ურთიერთობებს მთავრობებთან, ომთან დაკავშირებული რაიმე მიზნით ან დ) არ გადაზიდავენ საქონელს/სერვისებს, რაიმე სამხედრო აღჭურვილობასთან ერთად.

3.4 მომწოდებელი იღებს გონივრულ ზომებს (მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ ადგილზე ადექვატური პოლიტიკისა და პროცედურების არსებობა) იმის უზრუნველსაყოფად, რომ მისი საქმიანი ქცევა (მათ შორის მისი ურთიერთობები ნებისმიერ კონტრაქტორთან, თანამშრომელთან ან მომწოდებლის სხვა აგენტთან) შესაბამისობაში იყოს წესებთან და დამკვეთს მოთხოვნისთანავე აწვდიდეს მისი შესაბამისობის დამადასტურებელ ინფორმაციას.

3.5 მომწოდებელი იცავს ყველა მოქმედ სანქციას, ექსპორტის კონტროლის, ემბარგოს ან მსგავს კანონებსა და რეგულაციებს, მათ შორის, ვეროკავშირის, გაერთიანებული სამეფოს, აშშ-ს და გაეროს კანონმდებლობას („სანქციებისა და ექსპორტის კონტროლის კანონები“) და იყენებს წესებსა და პროცედურებს, რომელთა მიზანია ამგვარი შესაბამისობის უწყვეტობის უზრუნველყოფა. კერძოდ, მომწოდებელი არ გამოიყენებს რაიმე ხელმისაწვდომ თანხებს ან ეკონომიკურ რესურსებს პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, რომელიმე იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელსაც დაკისრებული აქვს რაიმე სანქცია, სანქციებისა და საექსპორტო კონტროლის კანონების თანახმად; ასევე არ ჩაიდენს რაიმე ისეთს, რომელიც დამკვეთს აქცევს სანქციებისა და საექსპორტო კონტროლის კანონების დამრღვევად (მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ საქონლის მოწოდება მათი წარმოშობის ქვეყნებიდან, რაც შეიძლება ნიშნავდეს რომ ამ საქონლის ნებისმიერი შესაძლო მოწოდება ან გამოყენება აკრძალული იქნას იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელსაც დაკისრებული აქვს რაიმე სანქცია, სანქციებისა და საექსპორტო კონტროლის კანონების თანახმად). მომწოდებელი ამ პირობის დაცვას სთხოვს ყველა თავის დირექტორს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, მოკავშირეებს, აგენტებს, მომწოდებლებსა და ქვეკონტრაქტორს. კერძოდ, მომწოდებელი მოიპოვებს ნებისმიერ ლიცენზიას, ავტორიზაციას ან ნებართვას, რომელთაც სანქციებისა და საექსპორტო კონტროლის კანონები ან სხვა მოქმედი კანონები მოითხოვს იმ პროგრამული უზრუნველყოფის, აპარატურის, ტექნოლოგიების, დახმარების ან მხარდაჭერის ან სერვისების ექსპორტის, იმპორტის, მიწოდების, გაყიდვის, ტრანსპორტირების, შუამავლობისთვის, რომლის მიწოდება ხდება მომწოდებლის სახელით ამ კონტრაქტის თანახმად (მათ შორის, თუმცა არამხოლოდ, ნებისმიერი საექსპორტო ლიცენზიების მიღება, მომწოდებლის მიერ ან მისი სახელით, დამკვეთისათვის ან მისი აგენტებისათვის შესაბამის მიწოდების მისამართზე საქონელის მიწოდებისთვის), შემდგომში აცნობებს დამკვეთს, ექვემდებარება თუ არა ამგვარი პროგრამული უზრუნველყოფა, აპარატურა, ტექნოლოგიები, დახმარების ან მხარდაჭერის ან სერვისები კონტროლს ან შეზღუდვებს, სანქციებისა და საექსპორტო კონტროლის კანონების შესაბამისად და აწოდებს მას სრულ საჭირო ინფორმაციას, რომელიც დამკვეთს შეიძლება დასჭირდეს რაიმე ლიცენზიის, ავტორიზაციის ან ნებართვის მისაღებად.

3.6 პირობა 3.5-თან დაკავშირებით, მომწოდებელი უზრუნველყოფს დამკვეთისთვის თავისი ძირითადი პერსონალის სახელი-გვარისა და დაბადების თარიღების მიწოდებას, რათა დამკვეთმა შეძლოს მათ წინააღმდეგ შესაძლო სანქციის არსებობის შემოწმება, რისთვისაც იგი დამკვეთის მესამე პირთა სკრინინგის ინსტრუმენტს იყენებს. დამკვეთისთვის ამ ინფორმაციის გადაცემამდე, მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თავისი ძირითადი პერსონალის ინფორმირება მათი ვინაობის დამკვეთისთვის გადაცემის და მის მიერ, სკრინინგის აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენების შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მომწოდებელმა უნდა მიიღოს მათი თანხმობა. მომწოდებელი უზრუნველყოფს, რომ იგი სისტემატიურად ამოწმებს საკუთარი პერსონალის,

მომწოდებლებისა და ქვეკონტრაქტორების შესაძლო მოხვედრას სანქცირებულთა ჩამონათვალში და დაუყოვნებლივ აცნობებს დამკვეთს ნებისმიერი აშკარა კორელაციის შესახებ.

3.7 მიმწოდებელი დაუყოვნებლივ აცნობებს დამკვეთს, თუ მისთვის ცნობილი გახდება სავალდებულო პოლიტიკის ან მე -8 პირობის (მიმწოდებლის გარანტიები) ნებისმიერი დარღვევის, საექვო ან დარღვევის მცდელობის შესახებ და აწვდის დამკვეთს სრულ დეტალებს, ამ დარღვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების შესახებ.

3.8 მიმწოდებელი ითანამშრომლებს დამკვეთთან, სავალდებულო პოლიტიკის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით ნებისმიერი გამოძიებისთვის, მათ შორის არ შემოიფარგლება მხოლოდ დარღვევის, საექვო ან დარღვევის მცდელობასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და პერსონალის შემოწმებითა და წვდომით.

3.9 დამკვეთს შეუძლია მომწოდებელს ჩაუტაროს ტრენინგი ან უზრუნველყოს მასალებით ისეთ თემებზე, როგორცაა: ბავშვებისა და მოწყვლადი მოსახლეობის დაცვა სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან, შვიწროების, დაშინების და ბულინგის საწინააღმდეგო ზომები. დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელი მასალებს გაუზიარებს თავის ნებისმიერ კონტრაქტორს, თანამშრომლებს ან აგენტს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შედის კონტაქტში დამკვეთის პერსონალთან, ბენეფიციარებთან ან მოწყვლადი მოსახლეობის წევრებთან, ამ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში.

3.10 მიმწოდებელი თანახმაა, უფლება მისცეს დამკვეთის თანამშრომლებს, აგენტებს, პროფესიონალ მრჩეველებს ან სხვა სათანადო უფლებამოსილ წარმომადგენლებს, შეამოწმონ და აუდიტი ჩაუტარონ მიმწოდებლის სააღრიცხვო წიგნებს, დოკუმენტებს, საბუთებს, ჩანაწერებს და სხვა ინფორმაციას, მათ შორის ელექტრონულ ფორმატში არსებულ ინფორმაციას და მიმწოდებელთან მიმდინარე მომენტში და წარსულში მომუშავე პერსონალის, ასევე მიმწოდებლის ხელთ არსებული სხვა შესაბამისი პირადი მონაცემების შესახებ ინფორმაციას, რათა შემოწმდეს მათი შესაბამისობა მე-3 პირობის მოთხოვნებთან. მიმწოდებელი უზრუნველყოფს, რომ ინფორმაციის გადაცემამდე/წვდომის დაშვებამდე და საჭიროების შემთხვევაში თავად შესაბამისი პირებისგან თანხმობის მიღებამდე, მან ინფორმაცია მიაწოდა თითოეულ პირს, რომლის პერსონალურ მონაცემებსაც ის გადასცემს/მისაწვდომს ხდის ნებისმიერი პირის ან სუბიექტისთვის ამ პუნქტის შესაბამისად.

4. მიწოდება/ შესრულება

4.1 საქონლის მიწოდება მოხდება და მომსახურება განხორციელდება იმ მისამართზე და იმ დღეს ან ვადაში, რაც განსაზღვრულია შესყიდვის ორდერით და ორივე შემთხვევაში დამკვეთის სამუშაო საათებში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის შეთანხმებული შესყიდვის ორდერით. დრო იქნება არსებითი ამ 4.1 პირობასთან მიმართებაში.

4.2 იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის მიწოდების ან მომსახურების განხორციელების დრო დასაზუსტებელი იქნება შესყიდვის ორდერის გაცემის შემდეგ, მიმწოდებელი დამკვეთს შეატყობინებს კონკრეტულ თარიღს მისაღები წერილობითი სახით.

4.3 საქონლის მიწოდება განხორციელდება და საქონელთან დაკავშირებული უფლების გადასვლა მოხდება შესყიდვის ორდერით განსაზღვრულ მისამართზე შემსრულებლის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ დამკვეთისთვის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლებისთვის საქონლის ფიზიკური გადაცემის შემდეგ.

4.4 საქონლის დაზიანების ან დაკარგვის რისკი გადადის დამკვეთზე ხელშეკრულების დადების დროს ძალაში მყოფი ინკოტერმსის (საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების) წესების შესაბამისი დებულებების თანახმად ან როდესაც ინტერკომისის წესები არ ვრცელდება, საქონელთან დაკავშირებული რისკი გადადის დამკვეთზე გადაცემის დასრულებისას.

4.5 საქონელი ან მომსახურება არ ჩაითვლება დამკვეთის მიერ მიღებულად მანამ, სანამ ამ უკანასკნელს არ ექნება გონივრული დრო მიმწოდებლის მიერ მიწოდების ან/და მომსახურების განხორციელების შემდეგ მათ შესამოწმებლად.

4.6 დამკვეთი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან გაწეული მომსახურება, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში წარმოდგენილ კონტრაქტთან. თუ საქონელს ან მომსახურებას არ მიიღებს დამკვეთი ამ მიზეზით, მომწოდებელი დაუყოვნებლივ ხელახლა მიაწვდის მის სანაცვლოდ სხვა საქონელს ან მომსახურებას, რომელიც შესაბამისობაში იქნება წარმოდგენილ კონტრაქტთან. გარდა ამისა, დამკვეთმა შეიძლება გააუქმოს ხელშეკრულება და დაუბრუნოს მომწოდებელს უარყოფილი საქონელი ამ უკანასკნელის რისკით და ხარჯით.

5. კომპენსაცია

მომწოდებელი დამკვეთს სრულად აუნაზღაურებს ყველა ვალდებულებას, ზარალს, ზიანს, ღირებულებას და ხარჯებს (მათ შორის სასამართლო ხარჯებს), რომლებიც მიკუთვნებულია ან გაწეული ან გადახდილი დამკვეთის მიერ მომწოდებლის ან მისი თანამშრომლების, უფლებამოსილი პირების ან ქვეკონტრაქტორების რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად ამ კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებასთან მიმართებაში და დამკვეთის მიმართ შესამე პირის მიერ წარდგენილ პრეტენზიას/მოთხოვნას (მათ შორის სიკვდილთან, პირად ან ქონების დაზიანებასთან დაკავშირებულ პრეტენზიებს), რომელიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია საქონლის ან მომსახურების მიწოდებასთან.

6. ღირებულება და ანაზღაურება

6.1 ანაზღაურება განხორციელდება ორდერის შესაბამისად, ხოლო დამკვეთი უფლებამოსილია, ორდერში მითითებული თანხიდან დაქვითოს ყველა ის თანხა, რომელიც მომწოდებელს გააჩნია დამკვეთის მიმართ.

6.2 ამ კონტრაქტის საფუძველზე გაცემული ყველა ინვოისი უნდა იყოს ზუსტი და შეიცავდეს შესყიდვის ორდერის სწორ ნომერს. იმ შემთხვევაში, თუ ამ კონტრაქტის საფუძველზე წარმოდგენილი რომელიმე ინვოისი დაწუნებული იქნება უზუსტობის ან არასრულყოფილების გამო, მათ შორის მასში არ იქნება ან სწორად არ იქნება მითითებული ორდერის ნომერი, დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე, მომწოდებელმა თავიდან უნდა წარადგინოს შესწორებული ინვოისი. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, შესწორებული ინვოისის გადახდა მოხდება დამკვეთის მიერ მისი მირებიდან 45 დღის ვადაში.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 დამკვეთს შეუძლია ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა ნებისმიერ დროს და ნებისმიერი მიზეზით მომწოდებლის თვის მინიმუმ ერთი თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

7.2 დამკვეთს შეუძლია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მომწოდებლის თვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და მოითხოვოს მომწოდებლის მიერ ნებისმიერი ზარალის (მათ შორის შესაბამისი ღირებულების, ვალდებულებების და ხარჯების სასამართლოს ხარჯების ჩათვლით) ანაზღაურება, თუ ეს უკანასკნელი:

- ა) გახდება გადახდისუუნარო, გაკოტრდება, ნებაყოფლობით შეთანხმებას დადებს თავის კრედიტორებთან ან დაექვემდებარება ქონების საკონკურსო მართვას/ საკონკურსო მასის მართვას ან
- ბ) არსებითად დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან დაარღვევს თავის ვალდებულებებს და ვერ გამოასწორებს ამ დაღვევას დამკვეთის მიერ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 14 დღის განმავლობაში.
- გ) დამკვეთი საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ მომწოდებელმა (ან მომწოდებლის დირექტორებმა, თანამშრომლებმა, ოფიცრებმა, დაკავშირებულმა პირებმა, აგენტებმა, მომწოდებლებმა ან ქვეკონტრაქტორმა) დაარღვია სანქციებისა და ექსპორტის კონტროლის კანონები ან ამავე მიზეზით თავად ედება ბრალი

პირდაპირი ან ირიბი ფორმით; რომ სხვა შემთხვევაში, ამ კონტრაქტის გაგრძელება შეიძლება რაიმე სახით შეიზღუდოს, ან ორივე მხარე დააყენოს სანქციებისა და ექსპორტის კონტროლის კანონების დარღვევის რისკის ქვეშ.

7.3 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დასრულებული უნდა იქნას ყველა არსებული შესყიდვის ორდერი.

8. მომწოდებლის გარანტიები

8.1 მომწოდებელი დამკვეთს აძლევს გარანტიას, რომ:

ა) მას გააჩნია ყველა საჭირო შიდა და შესაბამისი მესამე მხარეების მიერ მინიჭებული უფლებამოსილება, რომ განახორციელოს საქონლისა და მომსახურების მიწოდება მოქმედი კანონების, რეგულაციის, პრაქტიკის ან რომელიმე მესამე მხარის უფლებების დარღვევის გარეშე;

ბ) ის არ აიღებს და ასევე უზრუნველყოფს რომ არც ერთმა მისმა თანამშრომელმა არ მიიღოს რაიმე საკომისიო ანაზღაურება, საჩუქარი, წახალისება ან სხვა ფინანსური სარგებელი რომელიმე მიმწოდებლისგან/მომწოდებლისგან ან დამკვეთის პოტენციური მიმწოდებლისგან/მომწოდებლისგან;

გ) მომსახურებას განახორციელებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე და გადამზადებული პერსონალი ყურადღებით, გულმოდგინედ და საუკეთესო უნარ-ჩვევების გამოყენებით და ხარისხის ისეთი მაღალი სტანდარტით, როგორც მისაღები იქნება დამკვეთისთვის ყველა შემთხვევაში.

ე) მის არც ერთ დირექტორს, ოფიცერს ან რომელიმე თანამშრომელს: არ აქვს ინტერესი მომხმარებლის ნებისმიერი მომწოდებლის ან პოტენციური მომწოდებლის მიმართ; არ წარმოადგენს მხარეს და არ გააჩნია რაიმე სხვა ინტერესი დამკვეთთან ნებისმიერ გარიგებაში ან შეთანხმებაში.

ვ) დამკვეთისთვის მიწოდებული ინფორმაცია არის და რჩება სრული და ზუსტი, ყველა ფაქტორივ ინფორმაციასთან მიმართებაში.

9. პირადი მონაცემები

9.1 კონფიდენციალობასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებთან ერთად, მომწოდებელი, როგორც მაკონტროლებლის („დამმუშავებლის“) სახელით მოქმედი, პირადი ინფორმაციის დამამუშავებელი იურიდიული ან ფიზიკური პირი, უზრუნველყოფს, რომ იდენტიფიცირებულ ან არა იდენტიფიცირებულ პირთან (მონაცემის სუბიექტი) დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციასთან მიმართებაში, რომელიც მონაცემთა დაცვის ნებისმიერი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად უფრო ზოგადად განისაზღვრება როგორც („პირადი მონაცემები“):

ა) იგი დაამუშავებს ამგვარ პირად ინფორმაციას მხოლოდ დამკვეთის (როგორც ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც განსაზღვრავს პირადი ინფორმაციის დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, „მაკონტროლებელი“) წერილობითი ინსტრუქციების თანახმად და მხოლოდ იმ მოცულობით, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის;

ბ) ამგვარი პირადი მონაცემების დამუშავება და გადაცემა მოხდება მონაცემების დაცვის მოქმედი კანონების, მარეგულირებელი სახელმძღვანელო პრინციპებისა და სფეროს სტანდარტების შესაბამისად.

გ) მომწოდებელს შემუშავებული აქვს პირადი მონაცემების შემთხვევითი და უკანონო განადგურების, შემთხვევითი დაკარგვის, შეცვლის, არასანქცირებული გამჟღავნების ან წვდომისგან დაცვის შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომელებიც უზრუნველყოფენ იმ დონის უსაფრთხოებას, რომელიც შესაბამისობაშია დაცვას დაქვემდებარებულ რისკებთან და მონაცემების ბუნებასთან.

დ) მომწოდებელს შემუშავებული აქვს პროცედურები, რათა ნებისმიერმა მესამე პირმა, რომელსაც იგი ანიჭებს პირად ინფორმაციაზე წვდომას, პატივი სცეს და დაიცვას ამ პირადი მონაცემების კონფიდენციალობა და უსაფრთხოება. მომწოდებლის მხრიდან უფლებამოსილი ნებისმიერი პირი ვალდებულია, პირადი მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ მომწოდებლის ინსტრუქციების მიხედვით: და

ე) მომწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს დამკვეთის ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც მისგან მოითხოვს ამგვარი პირადი ინფორმაციის ჩასწორებას, გადაცემას ან წაშლას.

9.2 როდესაც მომწოდებელი პირადი მონაცემების დამუშავებაში თავისი სახელით რთავს მესამე მხარე კონტრაქტორს, მან ეს უნდა გააკეთოს მხოლოდ SCI-ის თანხმობით და მესამე მხარე კონტრაქტორთან წერილობითი შეთანხმების გზით, რომელიც მას მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით აკისრებს იმავე ვალდებულებებს, რომელიც მას ეკისრება ხელშეკრულებისა და მონაცემთა დაცვის კანონების თანახმად.

9.3 მომწოდებელი, 5 სამუშაო დღის განმავლობაში აცნობებს დამკვეთს, სხვა ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის, (მათ შორის სახელმწიფო ან მარეგულირებელი უფლებამოსილი ორგანოს) მხრიდან, ამგვარ პირად მონაცემებზე წვდომის ან სხვა სახის თხოვნის, პრეტენზიის, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ და სრულ თანამშრომლობასა და დახმარებას გაუწევს დამკვეთს, ნებისმიერ ამგვარ თხოვნასთან, პრეტენზიასთან, შეტყობინებასა ან კომუნიკაციასთან დაკავშირებით.

9.4 მომწოდებელი დაუყოვნებლივ აცნობებს დამკვეთს, თუკი მისთვის ცნობილი გახდება ამგვარი პირადი ინფორმაციის ნებისმიერი არასანქცირებული ან უკანონო დამუშავების, დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების შესახებ და სრულ თანამშრომლობასა და დახმარებას გაუწევს დამკვეთს, ამგვარ შემთხვევაზე რეაგირებასა და გამოსწორებასთან დაკავშირებით.

9.5. დამკვეთს შეუძლია, არანაკლებ 7 დღით ადრე მომწოდებლისთვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ შეამოწმოს ან დანიშნოს წარმომადგენელი, მომწოდებლის მიერ, პირადი ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული ყველა ობიექტის, აღჭურვილობის, დოკუმენტებისა და ელექტრონული მონაცემების შესამოწმებლად.

9.6. მომწოდებელმა არ უნდა გასცეს პირადი ინფორმაცია იმ ქვეყნის გარეთ, რომელშიც დამკვეთი იმყოფება.

9.7 მარეგულირებელი ან საკანონმდებლო წესების, დებულებების ამოქმედების ან პრეცედენტული სამართლისა და სახელმძღვანელო პრინციპების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, როდესაც ამ კონტრაქტით გათვალისწინებული დაცვა არ იქნება საკმარისი პირადი ინფორმაციის დაცვისთვის, მხარეები კონტრაქტში შეიტანენ საჭირო შესწორებას, რათა ის შესაბამისობაში იყოს მოქმედ კანონებთან, წესებთან, რეგულაციებთან და მარეგულირებელი ორგანოების სხვა მოთხოვნებთან, სადაც დროდადრო შეტანილი იქნება ცვლილებები („მოქმედი კანონები“).

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულების გამო, თუ ეს გამოწვეულია ისეთი მოვლენით, რომელიც აღემატება მხარეების გონივრულ კონტროლს (შემდგომში წოდებული, როგორც „ფორს-მაჟორული მოვლენა“) იმის გათვალისწინებით, რომ მომწოდებელი ძალისხმევას გამოიყენებს, რომ გამოასწოროს ასეთი ფორს-მაჟორული მოვლენა და განაახლოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელება.

9.2 თუ მომწოდებელს რაიმე მოვლენა ან გარემოება უშლის ხელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში უწყვეტად 14 დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში, დამკვეთს შეუძლია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მომწოდებლისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

11. ზოგადი დებულებები

11.1 მომწოდებელი არ გამოიყენებს დამკვეთის სახელს, ბრენდინგს ან ლოგოს გარდა დამკვეთის წერილობითი მითითებების ან ნებართვისა.

11.2 მომწოდებელი ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებებს ან განსაზღვრულ ვალდებულებებს არ მიანიჭებს, გადასცემს, დააკისრებს, ქვეკონტრაქტით არ განსაზღვრავს, არ შეცვლის ან არანაირ გარიგებას არ დადებს ამასთან დაკავშირებით დამკვეთის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3 წარმოდგენილი ხელშეკრულების ფარგლებში ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინების მიწოდება უნდა მოხდეს წერილობითი სახით შესყიდვის ორდერში აღნიშნულ მისამართზე ან სხვა მისამართზე, რომლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოხდება დროდადრო. ამ პირობასთან მიმართებაში, „წერილობითი შეტყობინება“ მოიცავს ელ. ფოსტას და ფაქსს.

11.4 თუ სასამართლო ან კომპეტენტური ორგანო დაადგენს, რომ ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულება (ან რომელიმე დებულების ნაწილი) არის ძალადაკარგული, უკანონო ან განუხორციელებელი, ეს დებულება ან მისი ნაწილი საჭიროებისამებრ ამოიშლება ან ჩაითვლება გაუქმებულად და ეს გავლენას არ მოახდენს ხელშეკრულების სხვა დებულებების კანონიერებასა და განხორციელებაზე.

11.5 ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის დამატებითი პირობების შემოღება, სავალდებულო გახდება მხოლოდ ორივე მხარის მიერ წერილობითი სახით შეთანხმების და ხელმოწერის შემდეგ.

11.6 კონტრაქტსა და ორდერს შორის რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, ამგვარი შეუსაბამობის გადაჭრაში უპირატესობა ენიჭება კონტრაქტის პირობებს.

11.7 ხელშეკრულება რეგულირდება და განიხილება ინგლისური კანონმდებლობის შესაბამისად. ამ ხელშეკრულებასთან, მის საგანთან ან სტრუქტურასთან დაკავშირებით ან მათგან გამომდინარე ნებისმიერი დავის ან მოსაგვარებლად, მხარეები შეუქცევადად მიმართავენ ინგლისის და უელსის ექსკლუზიურ იურისდიქციას.

11.8 ნებისმიერ პირს, რომელიც არ წარმოადგენს ამ კონტრაქტის მხარეს, არ გააჩნია რაიმე უფლება მის ფარგლებში ან მასთან დაკავშირებით.